პროექტი

განკარგულება N__

“ა.(ა).ი.პ. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრისათვის“ დაბა ჩოხატაურში დუმბაძის ქ. #20-ში მდებარე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობის მეორე სართულზე არსებული 328.40 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართის (მთლიანი მეორე სართული) (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი - 28.01.21.003) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ”ჩოხატაურისბ მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის მიცემის თაობაზე“

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების,საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე **საკრებულო ადგენს:**

1. მიეცეს თანხმობა მუნიციპალიტეტის მერს, ა.(ა).ი.პ. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრისათვის“ დაბა ჩოხატაურში დუმბაძის ქ. #20-ში მდებარე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობის მეორე სართულზე არსებული 328.40 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართის (მთლიანი მეორე სართული) (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი - 28.01.21.003) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე.
2. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.